მოქალაქეობის თვითნებური ჩამორთმევის დაუშვებლობა - სახელმწიფოთა ვალდებულება მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობის შემცირების გზაზე

მარიამ ტაგანაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ გოლეთიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ტაგანაშვილი

25 ივნისი, 2024 წელი.“

აბსტრაქტი

მოქალაქეობის არმქონე პირთა მზარდმა რაოდენობამ სახელმწიფოები განსხვავებული დღის წესრიგის წინაშე დააყენა. თანამედროვე მსოფლიოში 10 მილიონამდე ადამიანს უწევს გამკლავება იმ სირთულეებთან, რასაც მოქალაქეობის არქონა ქმნის. ამ შედეგის მიზეზები კი უკავშირდება მოქალაქეობის ჩამორთმევის არა მხოლოდ ლეგიტიმურ საფუძვლებს, როგორიცაა, მაგალითად, ეროვნული უსაფრთხოება, არამედ მანკიერ პრაქტიკასაც, რასაც იწვევს ინდივიდების მიმართ განხორციელებული დისკრიმინაცია ან სახელმწიფოთა თვითნებობა მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას.

ამჟამად მსოფლიოში არსებული ნებისმიერი რეგიონი დგას ამ გლობალური პრობლემის წინაშე. აღნიშნული საკითხის გაანალიზებისა და პრობლემის აღმოფხვრის მიზნით კი საჭიროა კვლევა იმისა, თუ რა ქმნის სახელმწიფოთა მავნებლურ პრაქტიკას, სად გადის ზღვარი მოქალაქეობის თვითნებურ და მართლზომიერ ჩამორთმევას შორის, როგორი უნდა იყოს სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობები, რათა მათში არსებული ხარვეზებით ხელი არ შეეწყოს ინდივიდების მარგინალიზებასა და მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობის კიდევ უფრო მასშტაბურ ზრდას.

წინამდებარე ნაშრომში აღწერითი/მიმოხილვითი, შეფასების მეთოდებითა და ნორმატიული, შედარებით-სამართლებრივი თუ სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მეშვეობით განხილულია მოქალაქეობის არმქონეობისა და მოქალაქეობის თვითნებურად ჩამორთმევის კონცეფციები, წარმოჩენილია სახელმწიფოთა მანკიერი პრაქტიკის თვალსაჩინო მაგალითები და ის სტანდარტები, რომლებსაც ისინი უნდა იცავდნენ მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობის შემცირების გზაზე. ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა ქვეყნის თვითნებობის საფუძველს კონვენციების დებულებების არასწორი ინტერპრეტაცია განაპირობებს, რითაც ისინი ცდილობენ რეჟიმის მოწინააღმდეგე აქტივისტები დასაჯონ. ამის ყველაზე ეფექტური გზა კი მოქალაქეობის ჩამორთმევაა, ვინაიდან ინდივიდებს სხვა უფლებებთან წვდომის შესაძლებლობას მაქსიმალურად უზღუდავენ.

ნაშრომში გამოვლენილია დღის წესრიგში არსებული გამოწვევები და ავტორი პასუხს სცემს კითხვას - როდის არის მოქალაქეობის ჩამორთმევა თვითნებური და რა ვალდებულებები აკისრიათ სახელმწიფოებს იმისათვის, რათა შეამცირონ მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობა და მიიღონ ეფექტიანი ზომები იმ მავნე შედეგების პრევენციისათვის, რასაც ზემოხსენებული მანკიერი ქმედებები იწვევს.

<u>საკვანძო სიტყვები:</u> მოქალაქეობის არმქონე პირი; დენაციონალიზაცია; მოქალაქეობის თვითნებური ჩამორთმევა; სასიცოცხლო ინტერესები;

ABSTRACT

The growing number of stateless people has put States on a different agenda. Up to 10 million individuals worldwide have to deal with the difficulties that statelessness creates. This result arises not just from legitimate reasons for revoking citizenship, such as national security concerns, but also from vicious practices resulting from discrimination against people or arbitrary decisions made by States regarding nationality revocation.

Currently, every region in the world is grappling with this global issue. To address this problem effectively, it is crucial to examine the factors that lead to harmful practices by States. It is necessary to determine the line between arbitrary and legitimate deprivation of citizenship and how national legislation should be established so that gaps in them do not contribute to the marginalization of individuals and the large-scale increase in the number of stateless persons.

In the present paper, the concepts of statelessness and arbitrary deprivation of nationality using descriptive/overview, evaluative, and normative methods are discussed. It also includes a comparative analysis of legal and judicial practices, highlighting examples of harmful state practices and the standards they should follow to reduce the number of stateless individuals. The arbitrary deprivation of nationality taken by many countries is often due to their misinterpretation of international conventions. This misinterpretation leads them to punish activists who oppose the government. One of the most effective ways States do this is by revoking the activists' nationality, thereby severely limiting individuals’ access to other rights.

The paper identifies the challenges at hand and addresses the question of when depriving someone of their citizenship is arbitrary. It also explores the obligations of States to reduce the number of stateless individuals and implement effective measures to prevent the harmful consequences of such actions.

Keywords: Stateless person; Denationalization; Arbitrary Deprivation of Nationality; Vital Interests;